

გელა გამტკიცულაშვილი

პ/ნ 20001010960

**თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაფარეულის მიმდებარე
ტერიტორიაზე არსებული წყლის ტბორის პროექტი**

სკრინინგის ანგარიში

თბილისი 2019

სარჩევი

1. შესავალი	3
1.1 ზოგადი მიმოხილვა	3
1.2 საკანონმდებლო საფუძველი	3
2. ტბორის აღწერა	3-4
2.1 ტბორის საქმიანობის აღწერა	3
2.2 წყალმომარაგება და კანალიზაცია	4
3. საპროექტო ტერიტორიის გარემო პირობები	4-6
3.1. გეოლოგიური გარემო	4-5
3.2. კლიმატი და მეტეოლოგიური პირობები	5
3.3 ტოპოგრაფია და ნიადაგები	5
3.4 ატმოსფერული ჰაერი	5-6
3.5. ბიოლოგიური გარემო	6
4. ზემოქმედების შეფასება	6-9
4.1. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება	6
4.2. ხმაურის გავრცელებით და ვიბრაციით გამოწვეული ზემოქმედება	6
4.3. ნიადაგის და გრუნტის დაბინძურების რისკი	6-7
4.4. ზემოქმედება გეოლოგიურ გარემოზე	7
4.5. წყლის გარემოს დაბინძურების რისკი	7
4.6. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკი	7
4.7. ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე	7
4.8. ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედება	7
4.9. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე	7-8
4.10. არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედების რისკი	8
4.11. ბუნებრივი რესურსების გამოყენება	8
4.12. საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკები	8
4.13. ზემოქმედება ჭარბტენიან ტერიტორიაზე	9
4.14. ზემოქმედება შავ ზღვაზე და სანაპირო ზოლზე	9
4.15. ზემოქმედება ტყით მჭიდროთ დაფარულ ტერიტორიაზე	9
4.16. ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე	9
4.17. ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე	9
4.18. ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება	9

შესავალი

1.1. ზოგადი მიმოხილვა

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაფარეულის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ტბორის სკრინინგის ანგარიშს. აღნიშნული ტბორი ნდებარეობს გელა გამტკიცულაშვილის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ტერიტორიაზე.

მიწის ნაკვეთების საკადასტრო კოდებია:

53.14.36.001-2239კვ.მ

53.14.36.003-15142კვ.მ

53.14.36.005-2311კვ.მ

53.14.36.009-1904კვ.მ

ნაკვეთების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საკადასტრო გეგმები და ტბორის ადგილმდებარეობის ორთოფოტო თან ერთვის.

1.2 საკანონმდებლო საფუძველი

ანგარიში მომზადებულია საქართველოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის შესაბამისად.

2. ტბორის აღწერა

2.1 მდებარეობა.

ის მიწის ნაკვეთები რაზეც განთავსებულია ტბორი წარმოადგენს სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს. მათი მიმდებარე ადგილებიც წარმოადგენენ სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს.

ტბორს აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან ესაზღვრება მთის ფერდი ფოთლოვანი ტყით. ხოლო ჩრთილოეთით და დასავლეთით სასოფლო დანიშნულების მიწის ნაკვეთები.

აღნიშნულ ტერიტორიის მიმდებარედ წლების განმავლობაში სისტემატიურად ხდებოდა სოფლის სარწყავი სისტემის დაზიანება, რაც იწვევდა ამ ტერიტორიაზე წყლის ბუნებრივ შეგუბებას. ამასთან ტერიტორიის წყლით ტაბორვა ასევე ხდებოდა „ლოპოტის“ ტბიდან გამომდინარე წყლით.

აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე ჭარბი წყალი გუბდებოდა გარკვეულ ტერიტორიაზე, რაც წარმოქმნიდა მცირე ზომის ტბორს.

2.2 წყალმომარაგება და კანალიზაცია.

2016 წელს აღნიშნული მიწის ნაკვეთებიდან მოხდა ნიადაგის მოხსანა და მისი განთავსება ტერიტორიის დასავლეთ მხარეს, რამაც გამოიწვია ტბორის წარმოქმნა აღნიშნული ფორმით.

ამჟამად წყლის მომარაგება ხდება მდინარე ლოპოტიდან და ტბა ლოპოტიდან შემომავალი წყალით ტბორის ჩრდილოეთის მხრიდან. ხოლო გადინება ხდება ტბორის სამხრეთ დასავლეთის ტერიტორიიდან და წყალი უბრუნდება ტბა ლოპოდიდან გამომავალი არხის კალაპოტს.

3. საპროექტო ტერიტორიის გარემო პირობები

3.1 გეოლოგიური მდებარეობა და გარემო

კახეთი მდებარეობს საქართველოს ტერიტორიის სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილში. იგი პირობითად თავისი გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით იყოფა ორ ნაწილად: გარე კახეთი (ნდინარე იორის ხეობა) და შიდა კახეთი (მდინარე ალაზნის ხეობა). შიდა კახეთი მოიცავს მდინარე ალაზნის ვაკეს, რომელის გაგრძელებულია დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ მინგეჩაურის ხელოვნურ წყალსაცავამდე. მისი საზღვრებია: ჩრდილოეთ- აღმოსავლეთიდან კავკასიონის ქედი, დასვლეთიდან ქართლის ქედი, სამხრეთიდან ცივ გომბორის ქედი.

ალაზნის ვაკე მდებარეობს ზღვის დონიდან 200- 500 მეტრზე. მისი სიგრძე დაახლოებით 200 კილომეტრია, ხოლო საქართველოს ტერიტორიაზე ის გადაჭიმულია 120-130 კილომეტრზე. მაქსიმალური სიგანე 30-35 კილომეტრია. მიუხედავ იმისა რომ ერთი შეხედვით ის წარმოადგენს ვაკე ტერიტორიას, თავისი რელიეფით ის საკმაოდ რთული აგებულებისაა. მას ჩრდილოეთიდან მას ესაზღვრება კავკასიონის მაღალი მთიანეთი, ხოლო სამხრეთიდან ცივ გომბორის ქედი.

მდინარე ალაზანს მარცხენა და მარჯვენა სანაპიროებიდან უერთდება კავკასიონის და გომბორის ქედების საშუალო და პატარა ზომის მდინარეები, რომლებიც გაზაფხულ შემოდგომაზე გამოირჩევიან თავისი წყალუბვობით.

ჩვენი საკვლევი ტერიტორია (სოფელი ნაფარეული, თელავის მუნიციპალიტეტი) მდებარეობს ალაზნის ველის მარცხენა სანაპიროზე, ზღვის დონიდან დაახლოებით 370

მეტრზე, მდინარე ალაზნიდან 7 კილომეტრზე, რომლის ზემოთა ჩრდილოეთით მიედინება ნდინარე ლოპოტა.

3.2 კლიმატი და მეტეოროლოგიური პირობები

როგორც ავღნიშნეთ ალაზნის ვაკეს ჩრდილოეთით ესაზღვრება კავკასიონის ქედი, ხოლო სამხრეთიდან ცივ გომბორის მთიანეთი. აქ ძირითადად გაბატონებულია დასავლეთის ქარები, ნაკლებად აღმოსავლეთის (კასპიის ზღვიდან) ქარები. შავი ზღვის და კასპიის ზღვის გავლენა აქ ნაკლებად იგრძნობა. ამიტომ ჰავა მშრალი და ზომიერად ნოტიოა. ნალექების რაოდენობა წელიწადში 700-850 მმ-ია. ჰაერის საშუალო ტემპერატურა მთელ წელზე გადაანგარიშებით 10-15 გრადუსია ცელსიუსით. ზამთარი ზომიერად ცივია, საშუალო ტემპერატურა ზამთარში 2 დან მინუს 3 გრადუსია ცელსიუსით. ყველაზე დაბალი ტემპერატურა მინუს 20-21 გრადუსამდე შეიძლება დაეცეს გარკვეული წლების განმავლობაში. ზაფხული ცხელია, მაქსიმალური ტემპერატურა 39- 40 გრადუსია ცელსიუსით.

ჩვენი საკვლევ ტერიტორიის (თელავის მუნიციპალიტეტი) კლიმატური პირობები ემთხვევა ზემოთ მოყვანილ კლიმატურ მახასითებლებს და შეიძლება გამოყენებული იქნას ჩვენი კვლევებისთვის.

3.3 ტოპოგრაფია და ნიადაგები

ალაზნის ველის მარცხენა სანაპიროს ესაზღვრება კავკასიონის ქედი, რომლის მყისიერად უერთდება ვაკე ადგილს, და წარმოქმნის კმაფიო გამყოფ ხაზს. ხოლო მარჯვენა მხარიდან ცივგომბორის ქედი ნელ ნელა უერთდება ალაზნის ველს და სამხრეთ აღმოსავლეთით ის მთლიანად იშლება.

საერთოდ შიდა კახეთი მთლიანად უკავია ალპურ და ნახევრად ალპურ მდელოებს, რომლის თანდათან იცვლება ტყის ზონით, ამას მოსდევს მცირე ფერდობები, სადაც განლაგებულია ბუჩქნარი და მდოლოები დაბალი ბალახებით. ტყეები ძირითადად ფოთლოვანია: რცხილა, წიფელა, მუხა, ლაფანი, წაბლი, და სხვა.

კახეთის ნიადაგები მნიშვნელოვანი სიჭრელით ხასიათდება. ალაზნის მარჯვენა მხარეს გვხვდება ყავისფერი ტყის, ნეშომპალა-კარბონატული და ალუვიურ-კარბონატული მიწები. ხოლო ალაზნის მარცხენა მხარეს ალუვიური ტყის კარბონატები და ყავისფერი ტყის ნიადაგები.

ჩვენი საკვლევ ტერიტორიის მიმდებარე ტერიტორიები სასოფლო სამეურნეო დანიშნულებისა და ძირითადად წარმოადგენს თიხნარს და ქვიშნარს.

3.4 ატმოსფერული ჰაერი

ტბორი მდებარეობს სოფლიდან ერთ კილომეტრში. მის გარშემო არ არის განთავსებული სამრეწველო ობიექტები. ამიტომ აქ ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება არ ფიქსირდება და ჰაერი ფაქტობრივად სუფთაა.

3.5 ბიოლოგიური გარემო.

ტბორის გარშემო მდებარე ტყე ფოთლოვანია და ძირითადად წარმოდგენილია რცხილას და წიფელას ჯიშებით. ხოლო მიმდებარე ვაკე ადგილები დაფარულია აბორიგენული მცენარე ბალახებით, როგორცაა მრავალძარღვა, ტყის ბალბა, ვირისტერფა, ლენცოფა, ჭინჭრის დედა და სხვა.

4. ზემოქმედების შეფასება

4.1 ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება

ტბორზე სამეწარმეო საქმიანობის (თევზის მოშენება) განხორციელების შემთხვევაშიც არ შეიძლება მოხდეს რაიმე მავნე ნივთიერებების გავრცელება ჰაერში, შესაბამისად შეუძლებელია რაიმე ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე.

4.2 ხმაურის გავრცელებით და ვიბრაციით გამოწვეული ზემოქმედება

ტბორის ტერიტორიაზე ხმაურის წარმოქმნის წყარო შეიძლება იყოს წყალჩაშვების და წყალგაშვების წრტილები.

ჩვენს შემთხვევაში ტერიტორიის ბუნებრივი გეოგრაფიული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე წყლის შედინება ტბორში ხდება მდორედ და აქ არავითარი ხმაური არ წარმოიქმნება. ხოლო წყლის გადინება მთლიანად ხდება დახურულ სისტემაში, რომელიც ასევე უზრუნველყოფს ხმაურის არწარმოქმნას. ამდენად ხმაურის ზემოქმედება გარემოზე თითქმის არ არსებობს.

ტბორზე და ტბორის მიმდებარე ტერიტორიაზე არ მუშაობს არანაირი ტექნიკა ან ელექტროდანადგარი, რაც გამორიცხავს ვიბრაციის წარმოქმნას და მის ზემოქმედებას გარემოზე.

4.3 ნიადაგის და გრუნტის დაბინძურების რისკი

ტბორი უკვე მოწყობილია, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას თევზის მოშენებისთვის. ამიტომ მომავალში არ იგეგმება ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და დასაწყობების სამუშაოები.

ტბორზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არ ხორციელდება და არ დადგება აუცილებლობა რაიმე ნავთობპროდუქტების და ქიმიური საშუალებების გამოყენების, რაც საერთოდ გამორიცხავს ნიადაგის დაბინძურებას.

4.4 ზემოქმედება გეოლოგიურ გარემოზე

ტბორი ვერანაირ ზეგვლენას ვერ მოახდენს გარემოზე, რადგან მასში თევზის მოშენების შემთხვევაშიც, არ იგეგმება კაპიტალური სამშენებლო სამუშაოები.

4.5 წყლის გარემოს დაბინძურების რისკი

ზედაპირული წყლის დაბინძურება მხოლოდ შეიძლება გამოწვეული იყოს ტბორზე მომუშავე პერსონალი მხრიდან, რაიმე ნარჩენების არასწორად მართვის შემთხვევაში. თუმცა ამ შემთხვევაში მომუშავე პერსონალი არ არსებობს, ხოლო მომავალში გათვალისწინებული და დაცული იქნება კანონით მოთხოვნილი ნორმები.

ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ ნავთობპროდუქტების და ქიმიური ნივთიერებების არ გამოყენების გამო გრუნტის წყლების დაბინძურება მოსალოდნელი არ არის.

4.6 ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკი

ტბორზე საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნის შემთხვევაში მოხდება მათი შეგროვება შესაბამის კონტეინერებში და გატანა მოხდება ადგილობრივ მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე.

4.7 ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე

არსებული ტბორის მიმდებარე ტერიტორიებზე რამოდენიმე ასეული და ათეული წლებია არსებობს ამ ზომის ბუნებრივი და ხელოვნური ტბები. ამ პერიოდის განმავლობაში ბიოლოგიური გარემო ადაპტირდა ამ ტბებთან. ამიტომ აღნიშნულმა ტბორმა შეიძლება მხოლოდ დადებითად იმოქმედოს ბიოლოგიურ გარემოზე.

4.8 ვიზიალურ-ლანდშაფტური ზემოქმედება

აღნიშნული ტბორი თვალთახედვის არეალიდან მთლიანად მოცილებულია სოფელს და მასთან დამაკავშირებელ სავტომობილო გზას. ამიტომ ის ვერ მოახდენს უარყოფით ვიზუალურ ზემოქმედებას გარემოზე, პირიქით ქმნის დადებით ეფექტს.

4.9 ზემოქმედება ადამიანის ჯამრთელობაზე

აღიშნული ტბორი და მისი მიმდებარე ტერიტორია მოცილებულია სოფელს და მთლიანდ შემოფარგლულია და დაცული დაცვის თანამშრომლების მიერ, რაც უზრუნველყოფს გარეშე პირთა მოხვედრას ტარიტორიაზე დროის ნებისმიერ მომენტში.

ამასთან ატმოსფეროში არ ხდება და არ მოხდება მავნე ნივთიერებების გაზნევა და ხმაურის გავრცელება.

ამრიგად გამორიცხულია უარყოფითი ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე.

4.10 არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედების რისკები

ტბორის მიმდებარე ტერიტორიები წარმოადგენ სასოსფლო დანიშნულების სავარგულებს. მრავალწლიანი დაკვირვებების და კვლევების შედეგად დადგენილია რომ ეს ტერიტორიები თავისი ნიადაგის შემადგენლობით გამოუსადეგარია მრავალწლიანი ჯიშების გახარებისთვის და პირველ რიგში ვაზისთვის, ამიტომ ამ ტერიტორიებზე ადრეც და ახლაც მოსახლეობას მოჰყავს მხოლოდ ერთწლიანი სასოფლოსამეურნეო კულტურა სიმინდი, რომელზეც არ მოქმედებს ტბორის ზედაპირიდან აოროთქლების შედეგად წარმოქმნილ შესაძლო ჭარბი ტენიანობა.

ტბორი, მის მიმდებარე ტერიტორიებისგან გამოყოფილია სანიაღვრე არხებით, რაც გამორიცხავს ტბორიდან ჭარბი რაოდნობით წლის გამოდინების შემთხვევაში მათ დატბორვას.

4.11 ბუნებრივი რესურსების გამოყენება

ბუნებრივი რესურსებიდან ტბორის შესავსებად გამოიყენება მხოლოდ მდინარე ლოპოტიდან შემომავალი წყალი.

აღნიშნული წყლით სარგელობა, ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღებაზე ნებართვა, შეთანხმებულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამისტროს წყლის რეგულირების მარტვის სამსახურთან 2016 წლის 25 ივლისს, # 5882.

შესაბამისი დოკუმენტები თან ერთვის.

4.12 საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კაგასტროფის რისკები

მიმდინარე ან მომავალში ტბორთან დაკავშირებული საქმიანობა არ ითვალისწინებს ხანძარსაშიში და ფეთქებადისაშიში ნივთიერებების შენახვას და გამოყენებას, ამიტომ ხანძარი და სხვა მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკები მოსალოდნელი არ არის.

4.13 ზემოქმედება ჭარბტენიან ტერიტორიაზე

ტბორის მიმდებარედ არ არსებობს ჭარბტენიანი ტერიტორიები. ამასთან ტბორის ზედაპირიდან წარმოქმნილმა ჭარბმა ტენიანობამ, ტბორის ადგილმდებარეებიდან გამომდინარე, ასევე არ შეძლება რაიმე ზეგავლენა მოახდინოს რამოდენიმე ასეულ კილომეტრზე არსებულ ჭარბტენიან ტერიტორიებზე.

4.14 ზემოქმედება შავ ზღვაზე და სანაპირო ზოლზე

შავი ზღვის სანაპირო ზოლიდან კახეთის რეგიონი და აღნიშნული ტერიტორია მდებარეობს დაახლოებით 300 კილომეტრზე. შესაბამისად, რაიმე სახის ზემოქმედება შავი ზღვის სანაპირო ზოლზე გამორიცხებულია.

4.15 ზემოქმედება ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიაზე

ტბორს მის აღმოსავლეთით და სამხრეთით აკრავს ტყის ზოლის, რომელიც ტბასთან პროექციაში წარმოადგენს ზემოდან ქვემოთ დაქანებულ რელიეფს, ამიტომ აქ სრულად გამორცხულია ტყის მასივის დატბორვა, პირიქით არსებულმა კლიმატურმა პირობების (გლობალური ტემპერატურის მატება) გაუარესებამ დადებითად შეიძლება იმოქმედოს ტყის მასივზე.

4.16 ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე

უახლოესი დაცული ტერიტორია მდებარეობს ტბორიდან ჩრდილოეთით 20-25 კილომეტრში კავკასიონის ქედზე, ხოლო კახეთში არსებული სხვა დაცული ტერიტორიები კიდევ უფრო შორს. ზემოაღნიშნულიდან გამოდინარე, დაცულ ტერიტორიებზე რაიმე ზემოქმედება გამორიცხებულია.

4.17 ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე

ტბორის მიმდებარედ რაიმე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ ფიქსირდება და არც ლიტერატურულ და ეთნოგრაფიულ წყაროებში არ არის მოხსენიებული. ამრიგად კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ზემოქმედების რისკი პრაქტიკულად არ არსებობს.

4.18 ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება.

ტერიტორიის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

საქართველო
ამონაწერი საჯარო რეგისტრიდან
ბიწის (უძრავი ქონების) შესახებ

განაცხადის რეგისტრაციის № 882008146391

თარიღი 19.05.2008

ამონაწერის მიმზადების თარიღი 22.05.2008

ა) საკუთრების განყოფილება

სარეგისტრაციო ზონა	თელავი	53 (კოდი)	სახელმწიფო / ოჯახი / საკუთარი სრული / შეზღუდული პირველადი რეგისტრაცია / ცვლილება
სექტორი	ნაფარეული	14 (კოდი)	
კვარტლის №	36	ნაკვეთის №	001
ფართობი	კვ.მ. ზონის ერთეული	0	ნაკვეთის კატეგორია: სახლი
		დაუზუსტებელი	ნაკვეთის წინა № 531402160
ნაკვეთის მისამართი	სოფ.ნაფარეული		ნაკვეთის ფუნქცია
უფლება	საკუთრება		ნასოფლო-სამეურნეო

ბ) მესაკუთრის განყოფილება

უფლების დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი	მესაკუთრე და მისი მისამართი
უძრავი ქონების (ბიწის ნაკვეთის) ნასყიდობის ბელშეკრულზე დაბეჭდული ნოტარიუსის გ. ბერიაშვილის ბეჭ ნ.ნ.1-3403 16.05.08	გამტყვეულებული გველი თბილისის ვატიკანელი №3 კანკეტილი №3 კანკეტილი 1010960
	უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის განაცხადის რეგისტრაციის თარიღი: 19.05.2008
	უფლების რეგისტრაციის თარიღი: 22.05.2008

საქართველო
ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
ბიწის (უძრავი ქონების) შესახებ

განაცხადის რეგისტრაციის № 882008272852

თარიღი 15.09.2008

ამონაწერის მიმზადების თარიღი 17.09.2008

ა) საკუთრების განყოფილება

სახელმწიფო / იჯარა / საკუთარი

სრული / შეზღუდული

პირველადი რეგისტრაცია / ცვლილება

53

(კოდი)

14

(კოდი)

სარეგისტრაციო ზონა

თელავი

სექტორი

საფარველი

კვარტლის № 36

ნაკვეთის № 003

ფართობი

კვ.მ.

ზომის ერთეული

0

დაუზუსტებელი

151421

დაზუსტებული

ნაკვეთის მისამართი სოფ.საფარველი

უფლები საკუთრება

ნაკვეთის ფუნქცია სასოფლო-სამეურნეო

ბ) მესაკუთრის განყოფილება

უფლების დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი

მესაკუთრე და მისი მისამართი

საკუთრების უფლების მიწის № 931 09.09.2008
აბიჯებით ნახაზი.

გველა გამტარს უფლები

თელავის რაიონის გ.ბაქაძე-3/8 კანონიერების 010960

უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის განაცხადის რეგისტრაციის თარიღი: 15.09.2008

უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: 882008272852

უფლების რეგისტრაციის თარიღი: 17.09.2008

საქართველო
ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
მიწის (უძრავი ქონების) შესახებ

განაცხადის რეგისტრაციის № 882008312278

თარიღი 23.10.2008

ამონაწერის მომზადების თარიღი 24.10.2008

ა) საკუთრების განყოფილება

სარეგისტრაციო ზონა თვლაყო	53 (ყოფი)	სახელმწიფო / თვარა / საკუთარი სრული / მეზღუდული პირველადი რეგისტრაცია / ცვლილება
სიქტორი ნავთრეული	14 (ყოფი)	
კვარტლის № 36	ნაკვეთის № 005	
ფართობი კვ.მ. ზომის ერთეული 0	2310.7 დაზუსტებული	ნაკვეთის კატეგორია: სახნავი
ნაკვეთის მასშტაბი სოფნაფარეული		ნაკვეთის წინა № 531402149
უფლება საკუთრება		ნაკვეთის ფუნქცია სასოფლო-სამეურნეო

ბ) მესაკუთრის განყოფილება

უფლების დამდასტურებელი იურიდიული დოკუმენტი	მესაკუთრე და მისი მისამართი
ნაბიჯობის ხელშეკრულება დამოუკიდებელი საჯარო რეესტრის ერთეული სააგენტოს მიერ 23.10.08	გამტკიცებული მგლთ თბილისის გამტკიცებელი 3/8 320001010960
	უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის განაცხადის რეგისტრაციის თარიღი: 23.10.2008
	უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: 882008312278
	უფლების რეგისტრაციის თარიღი: 24.10.2008

საქართველო
 ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
 ბიწის (უძრავი ქონების) შესახებ

განაცხადის რეგისტრაციის № 882009021978 თარიღი 02.02.2009 ამონაწერის მიმზადების თარიღი 04.02.2009

ა) საკუთრების განყოფილება

სარეგისტრაციო ზონა	თელავი	53 (კოდი)	სახლმწიფო / თვარა / საკუთარი სრული / შეზღუდული პირველადი რეგისტრაცია / ცვლილება
სექტორი	საგარეულო	14 (კოდი)	
კვარტლის №	36	ნაკვეთის №	009
ფართობი	კვ.მ. ზომის ერთეული	0	ნაკვეთის კატეგორია: სახნავი
		დაუზუსტებელი	ნაკვეთის წინა №
ნაკვეთის მისამართი	ს. საგარეულო		ნაკვეთის ფუნქცია
უფლება	საკუთრება		სასოფლო-სამეურნეო

ბ) მესაკუთრის განყოფილება


უფლების დამდასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი	მესაკუთრე და მისი მისამართი
ნასყიდობის ხელშეკრულება დამოწმებული ნოტარიუსს გამრავლებული ძეგრი რ.საქ-554 29.01.2009.აზიშვილის ნახაზი.	გეგმა გამტკიცებულია №20001010960 თელავის რაიონის გზატკეპნი უფლების რეგისტრაციის მთხოვნის განაცხადის რეგისტრაციის თარიღი: 02.02.2009 უფლების რეგისტრაციის მთხოვნის განაცხადის რეგისტრაციის თარიღი: 04.02.2009 უფლების რეგისტრაციის თარიღი: 04.02.2009



საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო

საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს
თელავის სარეგისტრაციო სამსახური
საკადასტრო გეგმა

იწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 53 14 36 009
ანგარიშის რეგისტრაციის ნომერი: 882009021978
იწის ნაკვეთის ფართობი: 1904 კვ.მ.
დანიშნულება: სასოფლო-სამეურნეო
ატმორია: სახნავი
ომჯადების თარიღი: 02.02.09



	შენიშნული ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი		ვალდებულება		ხაზობრივი ნაკვეთი	 UTM (საერთაშორისო) სისტემის კოორდ.
	მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი		შენიშნული ნაკვეთი			

Երկրորդ փուլի ընթացքում
կազմակերպվել է մրցակցի
փուլի մրցույթի փուլի
արդյունքների քննարկում

3/1. ՅՈՒ ՅՈՒ ՅՈՒ ՅՈՒ ՅՈՒ
(3/6. 2000 100 60 33. ՅՈՒ ՅՈՒ
ԿՅ. ԵՐԿՐԱՐԻՆ)

ՅՈՒ ՅՈՒ ՅՈՒ ՅՈՒ

Երկրորդ փուլի ընթացքում
"Երկրորդ փուլի մրցույթի փուլի
արդյունքների քննարկում
արդյունքների քննարկում
արդյունքների քննարկում
արդյունքների քննարկում



20.03.2016

Ծ. 599 18 64 14



შეთანხმებულია

(უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი, თანამდებობა)

(უფლებამოსილი პირის ხელმოწერა)

“ ” “ ” 20 წ.

მოქმედების ვადა

ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღებაზე

20 - 20- წლების პერიოდისათვის

საწარმოს დასახელება ზ/პ. ზა ზამთაიყუჩულ ქ/ნ 2000/100 6033

ტ. 599186414

ადგილმდებარეობა, მისამართი თბილისი რაიონი

გამომშვებული პროდუქცია (რაოდენობა წელიწადში) 380 თვზი ნაღწილი

მუშაობის რეჟიმი (სამუშაო დღეების რაოდენობა/წელ., სამუშაო საათების რაოდენობა/დღ.) 360

ზედაპირული წყლის ობიექტი, საიდანაც ხდება წყლის ამოღება მ. ცოცხალი

წყლის ამოღების წერტილი (მანძილი შესართავიდან, კმ) 5,2

ამოღებული წყლის რაოდენობა:

ათასი კუბ.მ

იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	სულ წელიწადში
30	30	30	30	30	30	30	30	30	30	30	30	360

საწარმოს ხელმძღვანელი ზა ზამთაიყუჩულ (სახელი, გვარი) [ხელმოწერა] (ხელმოწერა)

“ 20 ” “ ივნისი ” 20/წ.



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო

საჯარო რეგისტრის
ეროვნული სააგენტო

საკადასტრო გეგმა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 53 14 36 001



განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882011135270

მიწის ნაკვეთის ფართობი: 2239 კვ.მ.

დანიშნულება: სასოფლო-სამეურნეო

კატეგორია: სახნავი

მომზადების თარიღი: 29.03.11



შენიშვნა-ნაგებობა,
პირობითი ნომერი/სართულიანობა



ვალდებულება



ხაზობრივი ნაგებობა



მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი




მშენებარე ნაგებობა

0 0.00
00 0
UTM (საერთაშორისო)
სისტემის კოორდ.



**საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს
თელავის სარეგისტრაციო სამსახური
საკადასტრო გეგმა**

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 53 14 36 003
 ჰანცხაღების რეგისტრაციის ნომერი: 882008272852
 მიწის ნაკვეთის ფართობი: 15142 კვ.მ.
 დანიშნულება: სასოფლო-სამეურნეო
 კატეგორია:
 მოწადების თარიღი: 16.09.08






საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო

საჯარო რეგისტრის
ეროვნული სააგენტო

საკადასტრო გეგმა


მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 53 14 36 005
განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882011135254
მიწის ნაკვეთის ფართობი: 2311 კვ.მ.
დანიშნულება: სასოფლო-სამეურნეო
კატეგორია: სახნავი
მომზადების თარიღი: 29.03.11



	მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი		ვაღდებულება		სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთი
	შენიშნული ნაკვეთი		შენიშნული ნაკვეთი		სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთი

UTM (საერთაშორისო) სისტემის კოორდ.





71